№ 293 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. პარასკევი, დეკემბრის 24 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ. ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—81

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

გ ა ზ ე თ

„საქართველოს რესპუბლიკა“-ზე

გაზეთი თვეში ურად ელირება 500 მანეთი, წლიურად 6,000 მან. ცალკე ნომერი 25 მან. ნისიათ გაზეთი არავის გაეგზავნება. გაზეთის ხელმოწერა არ დაიგეჭდება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის უფროსის

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ამჟამად გახსნილია 42 საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური შემდეგ ალაგებში: ტფილისში, გორში, ხაშურში, სურამში, ბორჯომში, ახალციხეში, აბასთუმანში, ჯავახეთის ახალქალაქში, ცხინვალში, გორის ახალქალაქში, მეჯვრისხევში, კავთისხევში, ცხეთაში, დუშეთში, ანანურში, ფასანაურში, მლეთში, კობში, ყაზბეგში, თიანეთში, ახმეტაში, თელავში, სართიჭალაში, ასურეთში, საგარეჯოში, აღბულაღში, მანგლისში, კოჯორში, ეკატერინოფელდში, ბეიუკ-კიასიკში, წითელხიდზე, ზესტაფონში, ჭიათურაში, ჩხარში, ქუთაისში, სამტრედიაში, ოზში, ხონში, საწირეში, ტყიბულში, კურსებში, და ხრესილში და 4 საერთაშორისო ტელეფონის სადგური: ტფილისში, ალსტაფაში, განჯაში და ბაქოში.

ზემო დასახელებულ ალაგებიან საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელით სარგებლობა უფასოდ და ნისიათ თანახმად ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესისა საყოველთაოდ აკრძალულია. დღემდე, ხშირად ზოგიერთი დაწესებულებები და პირნი თხოულობენ საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობას ნისიად და მათ მიერ შემდგარ ლაპარაკის ღირებულება არ შეგვაქვთ სადგურის სალაროში თავის დროზე, რითაც ბრკოლდება სადგურების ბუმბავლის ხაზინაში ჩაბარება და სახელმწიფო კონტროლში საბუთების წარდგენა.

ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირთ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, რომელთაც სურთ ხსენებულ ტელეფონით სარგებლობა კეთილინებონ შეიტანონ ადგილობრივ საქალაქთაშორისო ტელეფონის კანცელარიაში წინასწარი თანხა (ავანსი) არა ნაკლებ 2000 მანეთისა, რომლის ანგარიშში შეუძლიანთ აწარმოონ ტელეფონით ლაპარაკი იმ თანხის გამოლევამდე. 1921 წლის 1 ლ იანვრიდან საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის ყველა სადგურებმა უნდა აწარმოონ ტელეფონით ლაპარაკი თანახმად დამტკიცებულ წესისა და იმ ამონენტებს, რომელთაც არ ექნებათ შეტანილი წინასწარი თანხა სადგურები მათ მოთხოვნილებას ტელეფონით შეერთების შესახებ არ შეასრულებენ. სადგურებზე მოსული პირები კი იხდიან მათ მიერ შემდგარ ლაპარაკის ღირებულებას ნაღდად, თანახმად ლაპარაკის ხანგრძლივობის მიხედვისა.

საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის
ქსელის უფროსი ი. ვარლამოვი.

1042—1—1

ქალაქ ტფილისის სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობის გამგეობა აცხადებს,

რომ სამისამართო მაგიდის დებულების § 6 თანახმად 1-ლ იანვრიდან 1921 წ. ყველა ძველი საბინაო დავთრები შეცვლილ უნდა იქმნეს ახალ-ზედ.

სიადვილისთვის დავთრები იყიდება კომისარიატებში ბარათების მიმღებთა ოთახებში. სახლის პატრონთ ევალებათ უსათუოთ შეიძინონ საბინაო დავთრები მიმდინარე წლის 28 დეკემბრამდის და 1-ლ იანვარს დამზადებული და შევსებული მიიტანონ კომისარიატებში შესამოწმებლად.

გ ა მ გ ე ო ბ ა.

1041 1—1

22|XII 20 წ.

ვიპოვნე საფულე ფულებით და ანგარიშებით,

როგორც ანგარიშებიდან ჩანს ეს ნაპოვნი უნდა ეკუთვნოდეს

ხ. ა. ა ბ ა ი ა ნ ც ს.

1/5 ამ ფულებისა შეეწირება ს. დ. რ. თავდაცვის ფონდს. დანარჩენი მოიკითხოს პატრონმა საპიორის ქ. ს. № 37 კირილე ნიკოლაიშვილთან საღამოობით 6 საათიდან.

1—1

4408

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

პარასკევს 24 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა

„კარნავალი“

შაბათს, 25 დეკემბერს ოპერა მუშებისთვის „ღალატი“, კვირას, 26 დეკემბერს „ტოსკა“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

1011 1—1

ოფიციალური განყოფილება.

კ ა ნ ო ნ ი

არტაანის ოლქის ადმინისტრაციის—მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან ამ კანონთან დართული არტაანის ოლქის ადმინისტრაციის—მილიციის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. ამ კანონის პირველ (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე ერთი მილიონი რვაას სამოცი ათას სამასი (1.860,300) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის აგვისტოს 16-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. დეკემბრის 14-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ყორდანია.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

არტაანის ოლქის ადმინისტრაცია-მილიციისა.

№№ რიგზე.	თანამდებობათა სახელწოდება.	მოსახელეთა რიცხვი.	თვითეულს თვეში ფულად.	ყველას თვეში ფულად.	ყველას 1920 წ. მარტის 1-დ. 5 იანვრის 1-დ.
1	ოლქის კომისარი	1	8.000	8000	24000
2	ოლქის კომისრის თანაშემწე	2	7000	14000	42000
3	ოლქის ინონის კომისარი	2	6000	12000	36000
4	ოლქის დაბის კომისარი	1	5000	5000	15000
5	ოლქის საზოგადოების კომისარი	7	3500	24500	73500
6	ოლქის მილიციის უფროსი	1	6000	6000	18000
7	ოლქის მილიციის უფროსის თანაშემწე	1	5000	5000	15000
8	უფროსი მილიციონერი	10	3800	38000	114000
9	უმცროსი მილიციონერი	110	3600	396000	1188000
	ოლქის კომისრის კანცელარია.				
10	საქმის მწარმოებელი	1	6000	6000	18000
11	მარჯვიმანი	2	4000	8000	24000
12	მწერალი	2	4000	8000	24000
13	მანქანით გადამწერი	1	4000	4000	12000
14	დარაჯი	1	3500	3500	10000
15	ბინის ქირა	—	1000	1000	3000
16	გათბობა-განათება და საკანცელარიო ხარჯი	—	5000	5000	15000
17	საფოსტო ხარჯი	—	1000	1000	3000
	ოლქის მილიციის უფროსი კანცელარია.				
18	საქმისმწარმოებელი	1	4000	4000	12000
19	ბინის ქირა	—	2000	2000	6000
20	გათბობა-განათება და საკანცელარიო ხარჯი	—	2500	2500	7500
	რაიონის კომისრის-კანცელარია.				
21	საქმისმწარმოებელი	2	4000	8000	24000
22	ბინის ქირა	—	1000	1000	3000
23	გათბობა-განათება და საკანცელარიო ხარჯი	—	1500	3000	9000
	რაიონის მილიციის რეზერვი.				
24	სადარაჯოების ბინის ქირა	2	800	1600	4800
25	ბინის ქირა	2	800	1600	4800
	არტაანის დაბის კომისრის კანცელარია.				
26	საქმისმწარმოებელი	1	4000	4000	12000
27	ბინის ქირა	—	400	400	1200
28	გათბობა-განათება და საკანცელარიო ხარჯი	—	1400	1500	4500
29	ოფლის საზოგადოების კომისრის მწერალი	7	3500	24500	73500
30	მიმოსვლის ხარჯი	—	6000	6000	18000
31	საგანგებო ხარჯი	—	1500	1500	4500
	სულ	—	—	620100	1860300

ერთი მილიონი რვაას სამოცი ათას სამასი (1860300) მანეთი.

1920 წ. დეკემბრის 14-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ყორდანია.

გზათა მინისტრისა.

22 დეკემბერი, 1920 წ. № 128.

ამა 15 დეკემბერს, დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიის თავჯდომარის აკაკი ჩხენკელის თხოვნით და გზათა დეპარტამენტის დასტურით ფრონტზე აკაკი ჩხენკელის მოგზაურობის დროს დანიშნული ყოფილა განსაკუთრებული მატარებელი. შემდეგისათვის სახელმძღვანელოდ მივაქცევ გზათა დეპარტამენტის ყურადღებას, რათა ასეთ მოვლენას განსაკუთრებულ მატარებლების დანიშვნას ჩემს ნებადაურთველად არ ექნეს არავითარ შემთხვევაში ადგილი.

გზათა მინისტრი ნ. **რამიშვილი.**

ფრონტის დღე

შაბათს 25 დეკემბერს

„ა რ მ ა ზ ი“

(ყოფილი ქიმერიონი)

გაიმართება გრანდიოზული საღამოშობის ხე ფრონტის საჭიროებისათვის:

მონაწილეობენ:

„ე ლ ა მ ი - ჯ ი მ ი ს“ მთელი შემადგენლობა: ბოშის რომანსები: თამარ წერეთელი, ვერიკო ანჯაფარიძე, ვანო ნანიაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, სანდრო ყანჩელი, ისაია დოლუხანოვი, ოსიკო ბარათაშვილი, მ. ჭიაურელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, მთელი ტფილისის არტისტიული ძალები საერთო ცეკვა, შარჟი, ექსპრომტები, ყვავილები, შამპანიური კრუშონი.

გრანდიოზული „შობის ხე“

დიდძალი აეროვანი ბურთები. რესტორანი საგანგებოთ იქნება გამთბარი და მორთული. როიალთან ბ. **პროზოვსკი.** კონფერენსიე: კურიხინი, ყანჩელი პაოლო იაშვილი. დიასახლისი **ო. ა. ავალიანი.** სტოლებზე ჩაწერა ო. ავალიანთან, (პეტრე დიდის ქ. № 19, ტელეფ. № 15—84).

ქართულ კლუბში

(დამფუძნებელი კრების ქუჩა)

კვირას 26 დეკემბერს გაიმართება გრანდიოზული საღამო „შობის ხე“ დრამის ოპერის და „ელამი ჯიმის“ საუკეთესო ძალთა მონაწილეობით: ნ. ვ. ბოიარსკისა, ვ. ცეანოვსკისა, ა. ბალაბანი, ნ. ვოლკონსკისა, ა. ერმოლონსკისა, მ. მორდკინი, ფ. ნიროვი, ბრ. პოდოცკაისა, დ. დროზდ. პოლიაევისა, ი. სარაჯიშვილი, დ. სპრიშევსკისა, ი. საბინინი, მ. ჭიაურელი, ც. ამირაჯიბი, ნ. დავითაშვილი, თ. ჭავჭავაძე და სხვა.

კონფერენსიე: კურიხინი, ყანჩელი, პაოლო იაშვილი. საღამოს დიასახლისი ქ-ნი გეგეჭკორისა. კლუბი საგანგებოთ მორთული და გამთბარი იქნება. სტუმრების შეკრების დროს საღ. 8 საათ. სტოლებზე ჩაწერა დიასახლისთან ქ-ნ გეგეჭკორთან, (სეოგიევის ქ. არამიანცის სახლი, ტელეფ. № 13—79.)

1045 1—1



გაზეთი „შობის ფრონტის ხე“.

25 დეკემბერს ფრონტის მთავარი კომიტეტი გამოუშვებს ერთი დღის გაზეთს „შობის ფრონტის ხე“-ს, სადაც მოთავსებული იქნება წერილები ყველა ჩვენ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეთა და მწერალთა. შიგ ჩართული იქნება სურათები ფრონტზე მხატვარ ვალერიან სიდამონოვ-ერისთავისა.

გაზეთი ღირდება 100 მანეთი.

ჯარის კაცთა და გვარდიელთათვის უფასოთ.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი სთხოვს ყველას შეძინოს ეს გაზეთი, რომლის წმინდა შემოსავალი მოხმარდება ფრონტს.

რაიონების წარმომადგენელნი:

კომიტეტმა შეიმუშავა სია იმ კომისიებისა, რომელიც ქალაქში შემოივლიან შემოწირულებათა შესაგროვებლად:

გოლოვინის პროსპექტი, ოლლას ქუჩა, წყნეთის და სოლოლაკი.

გ. ანდღულაძე, კალანდარაშვილი, ლორთ. ჭიფანიძე, ჭიჭინაძ სა, ქარცივაძე, მაისურაძე.

ერევნის მოედანი, სერგიევის ქუჩა, განოვიანი და ველიამინოვის

კილაძე, ბაგრატიონი და ცერცვაძე.

სომხის ბაზარი, ოთხრების მოედანი, თივის მოედანი — ვორონცოვის ძეგლამდი.

ჭაბიშვილი, ბახტაძე, არაშიძე და აგბაშევი.

სალდათის ბაზარი

მაისურაძე, მაისურაძისა, მელიქოვისა და მიმინაშვილი.

მადათოვის კუნძული, ხიდი, მიხაილოვის ქუჩა კირკამდის, შემდეგ კიროჩნი ქუჩით ჩერქეზოვის ქუჩაზედ ვორონცოვის ძეგლამდი.

ჭიმშელაშვილისა, გორდელაძისა, მახარაშვილისა, ზაზიაშვილი.

ზემელის ოფიციალიდან, ვერის დაღმართი, მიხაილოვის ქუჩა, ვაგზლამდი, შემდეგ ჩერქეზოვის ქუჩით კირკამდინ.

სიმონოვა, ლეფავა, დარახველიძე, თინკონიკოგოსოვა, კიკნაძე.

მოვაჭრეთა 50 პროცენტის გადადება

მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ს. მ. ჟორჟოლიანთან გუშინ იყვნენ წარმომადგენელნი ტფილისის სასტუმროების და რესტორანებისა და განუცხადეს, რომ ტფილისის ყველა რესტორან სასტუმროებსა და სასადილოების კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა მთავარ კომიტეტის დამხმარე კომიტეტთან შეთანხმებით ერთი დღის ვაჭრობის 50 პროცენტი გადასცეს მთავარ კომიტეტს ფრონტის სასარგებლოთ. ბ. ჟორჟოლიანმა კომიტეტის სახელით მადლობა უძღვნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თავის დროზე მიღებული ცნობები ნათლად ამტკიცებდნენ, რომ ეგრედ წოდებული „საქართველოს კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტია არის არა დამოუკიდებელი პარტია, არამედ ნაწილი რუსეთის კომუნისტურ პარტიისა და ემორჩილება ამ უკანასკნელის დირექტივებს.

ქართველი კომუნისტები კი წინააღმდეგს ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ დღესაც. ამ მტკიცების გასაბათილებლათ ვაქვეყნებთ იმ ბარათს, რომელიც ქუთაისის გუბკომს მიუწერია ხონელ კომუნისტებისათვის.

ამხანაგებო თქვენ კარგად იცით, რა დამახინჯებულ პირობებში მოხდა ბაქოში ცენტრალურ კომიტეტს დანიშვნა. ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამას თქვენ ვრცლად ხართ გატნობილი. ჩვენ არ ვცნობთ ბაქოში დანიშნულ ცენტრალ კომიტეტს და ვითხოვთ მოკლე ხანში მოწვეული იქნეს პარტიული კონფერენცია, სადაც ფარდა აეხდება ბაქოში დატრიალებულ ამბებს. მაგრამ ცენტრალური კომიტეტი სხვა გზას მიმართავს, მან გადააყენა გუბკომის პრეზიდიუმი და კიდეც ამცნო მას ამის შესახებ. გუბკომის პრეზიდიუმი შემდეგი აზრისა არის: ის გადადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პლენუმი იცნობს არცნობილ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებას. რა თქმა უნდა ამას. პლენუმის სხდომა არა შემთხვევაში არ იზამს. ერთი მთავარი რამე დამავიწყდა, აქ მოხსენება. ცენტრალური კომიტეტი კიცხავს გუბკომის პლენუმზე მონაწილე ყველა ამხანაგებს, იმ საქციელისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ცენტრალურ კომიტეტის მიმართ. ცენტრალურ კომიტეტის მოქმედებაზე ყველა აღშფოთებულია და გამოაქვთ ქუთაისის გუბერნიაში არსებულ ორგანიზაციებს სასტიკი პროტესტი. თქვენც, რა თქმა უნდა, თქვენ ორგანიზაციის სახელით უნდა გამოიტანოთ (ბეჭედის დასმით და ხელის მოწერით) შემდეგი შ ნაარსის რეზოლიუცია:

1) საქართველოს კომუნისტურ პარტიის ხონის ორგანიზაცია სრულიად იზიარებს გუბკომის მიერ გამოტანილ რეზოლიუციებს ცეკას მიმართ, კონფერენციის მოწვევას და ცენტრალურ კომიტეტის არჩევას.

2) ხონის ორგანიზაცია ძლიერ აღშფოთებულია ცენტრალურ კომიტეტის მოქმედებით, რომელიც შეეხება გუბკომის პრეზიდიუმის გადაყენებას და ახალის ზევიდან დანიშვნას.

ჩვენ ვავალებთ ჩვენს დელეგატებს არ იცნონ ასეთი დანიშნული პრეზიდიუმი და განაგრძონ მუშაობა ძველი შემადგენლობით.

ასეთი რეზოლიუციით ჩამოხვალთ 10 ნოემბერს დილით აქ უნდა იყვეთ აუცილებლათ. ასეთია დადგენილება ჩვენი. შეიძლება თქვენ სხვა ცნობა მოგვიდეთ, მაგრამ არ დაუჯეროთ თუ ეგი ჩვენგან არ იქნება. დაწვრილებით ყველაფერს აქ გაიგებთ. ვიმეორებ. 10 ნოემბერს დილით აუცილებლათ აქ უნდა იყვეთ პლენუმის სხდომაზე დასასწრებლათ. „გუბკომის თავმჯდომარე № მაგ. მდივანი თ. გორგასლიძე.

ე. პ. გეგეჭკორის განცხადება

პარიზი. „ტანი“ ბეჭდავს ე. პ. გეგეჭკორის განცხადებას, რომელიც მან გაუკეთა პარიზის პრესის წარმომადგენლებს ერთა ლიგაში საქართველოს შესვლის საკითხის შესახებ.

ერთა ლიგის პირველსავე სხდომებზე, განაცხადა ე. გეგეჭკორმა, ნათელი შეიქმნა, რომ მიუხედავად აზრთა სხვა და სხვაობისა, ლიგაში შემავალ სხვა და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები ერთდებოდენ ერთ რამეში: ერთა ლიგის ძალა უნდა გამოიხატებოდეს მის უნივერსალობაში, ე. ი. იმაში უნდა შევიდეს ყველა სახელმწიფო—დიდი და მცირე, ძლიერი და სუსტი. ამასთანავე ერთად ერთ კრიტერიუმად ამა თუ იმ სახელმწიფოს ერთა ლიგაში ჩარიცხვისა უნდა არსებობდეს ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის სახელმწიფო და შეუძლია თუ არა მას აღასრულოს თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი. მე შეძლება მქონდა გამომეკვლია სხვა და სხვა ქვეყნის დელეგატთა დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმი. არც ერთ მათგანს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს ნამდვილ სახელმწიფოს და რომ მას სათავეში ყავს პასუხისმგებელი მთავრობა ხალხის მიერ ამორჩეული და რომელსაც შეუძლიან თავს იდვას საერთაშორისო ვალდებულებანი. ჩვენ გვაქვს ათასი წლების ისტორია. ძველმა კულტურამ შეძლება მისცა ჩვენ ხალხს, რომ მას საშინელ განსაცდელის დროს შეენარჩუნებინა თავისი არსებობა და რღვევის ქაოსში განემტკიცებინა თავისი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივ წყობილების საფუძვლები. აი უკვე სამი წელია, რაც ჩვენ ვმუშაობთ და მთელ ჩვენს ძალღონეს ვანდომებთ ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას და ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეს. ეს შრომა ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ ამ გზაზე ბევრი რამ არის უკვე გაკეთებული. ჩვენ შევსძელით დაგვემყარებინა ჩვენს ქვეყანაში ძლიერი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის აპარატი; განვამტკიცეთ წესრიგი და ხალხს მივეცით თავისუფლება და მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა. მეგობრული დამოკიდებულება დავამყარეთ ყველა ჩვენ მეზობლებთან ბ მათთან დავდევით შეთანხმებანი საზღვრების საკითხთა შესახებ.

ჩვენ შევსძელით აგრეთვე ი, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა დე ფაქტო იცვნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, დაიკავეთ ეკონომიური დამოკიდებულება ევროპის კულტურულ ქვეყნებთან და საკაჭრო წრეების ნდობა მოვიპოვეთ.

ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც მოწმე იყვნენ ადგილობრივ ჩვენი მუშაობისა, კარგათ იცან, თუ რა მნიშვნელოვანი და საპატიო მისია აწკვს საქართველოს წესრიგისა, თავიუფლებისა და უფლებათა დაცვის საქმეში აზიის ალაყაფის კარებთან. მართალია, არსებობენ ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მოწინააღმდეგენი, მაგრამ საქართველოს ერთა ლიგაში მიუღებლობა ნიშნავს ხალხის თავისუფალ თვით გამორკვევის პრინციპის უარყოფას. მე არა მაქვს (მოვიყვანო ის მოტივები, რომ საქართველოს ცნობა საჭიროა ევროპის სახელმწიფოებისათვის. საქართველო უნდა ჩარიცხოს ერთა ლიგაში არა პოლიტიკური ანგარიშების მიხედვით, საქართველოსათვის ეს არის უფლების საკითხი. ჩვენი უფლებაა დავიკავოთ ჩვენი ადგილი ყველა კულტურულ ხალხის კავშირში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ცივილიზაციისა და მშვიდობიანობის დაცვა და ამ უფლებამ არავითარი ეჭვი არ უნდა გამოიწვიოს.

ევროპა. „ჟურნალ-დე-ჟენევ“ სწერს: ევროპის პრესას არა ერთხელ აღუნიშნავს ევროპის დიპლომატიის შეცდომები აღმოსავლეთში. სამწუხაროთ პარიზსა და ლონდონში სხვა გვარი ფსიხოლოგია არსებობს, ვიდრე სტამბოლსა და ტფილისში. ევროპაში სახელმწიფო პირნი, რომელნიც შეჩვეულნი არიან სხვა და სხვა ხალხის მართვა გამგეობას, ძლივს გებულობენ ერთი მეორისას. ამის დასამტკიცებელ მაგალითს წარმოადგენს სომხეთი. ინგლისი და საფრანგეთი, რომელნიც ქმნიან მომავლის პოლიტიკას, ფიქრობენ, რომ საკმარისია სტამბოლის ინტერვენცია ან სამხედრო მოქმედებანი მცირე აზიაში, რომ უზრუნველ ვყოთ თუნდაც შედარებითი მშვიდობიანობა. ეს პოლიტიკა კიდევ ერთხელ ამტკიცებს ევროპის თვალსაზრისის უვარგისობას, ამ ქამად ერთა ლიგა და მოკავშირე სახელმწიფონი ზრუნავენ სომხეთის ბედზე, მაგრამ მისი გადარჩენა ქემალისტებისა და ბოლშევიკებისაგან უკვე შეუძლებელია. ევროპამ ამის გამო საჩქაროთ უნდა გადასინჯოს თავისი პოლიტიკა და დაკარგა რა სომხეთი, სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს. საქართველო იცავს თავის საზღვრებსა და შინაურ წესრიგს თავისივე ძალღონით. ამ რესპუბლიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ცივილიზაციის დაცვის საქმეში. მას არ ესაჭიროება გარეშე ძალის დახმარება, მაგრამ უფლება აქვს ზნეობრივი დახმარება მოითხოვოს ევროპისა და ერთა ლიგისაგან.

ახალი ამბები

ჩხეიძისა კ. კანდელაკისა და ფ. გოგიჩაიშვილის ჩამოხვლა. დეკემბრის 22 ღამის 12 საათზე დაბრუნდა ტფილისში ევროპიდან საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კ. ჩხეიძე, ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი და სახელმწიფო კანტროლიორი გოგიჩაიშვილი. დელეგაციის

შესახვედრათ სადგურზე შეიკრიბენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი, მომარაგების მინისტრი გ. ერაძე, ფინანსთა მინისტრის ამხან. ს. ავალიანი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. საბახტარაშვილი, ფინანსთა სამინისტროსა, გზათა მიმოსვლისა და სხვათა წარმომადგენლები.

✦ **„კომუნისტის“ დახურვის გამო.** ზოგიერთ გაზეთებში დაიბეჭდა, რომ გაზეთები რუსული და ქართული კომუნისტი დაიხურა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით.

საჭიროა განცხადებული იქნას, რომ ხსენებული გაზეთები დაიხურა ტფილისის ოლქის დადგენილებით, თანახმათ სასჯ. დებ. 128 და 124 მუხ.

სახელმწიფო დაწეს. მოსამსახურეთა კრება. კვირას 26 დეკემბერს დილის 10 საათზე არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრ.) დანიშნულია ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა საზოგადო კრების გაგრძელება. განხილული იქნება საკითხი მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. დასწრება ყველა კავშირის წევრთათვის სავალდებულოა.

✦ **პრეს-ბიურო.** დამფუძნებელ კრებასთან არსებულმა პრეს-ბიურომ, რომლის მოქმედება სასახლეში რემონტის გამო შეჩერებული იყო ჯერ-ჯერობით განაახლა თავისი მოქმედება. პრეს-ბიურო მოთავსებულია სასახლეში.

✦ **შინ. საქ. სამინისტრომ** აცნობა პრეს-ბიუროს, რომ მომარაგების სამინისტროს ნებადაურთველად არ ქვეყნდებოდეს პრესაში ცნობები ხსენებულ სამინისტროს სასურსათო ოპერაციების შესახებ, რადგანაც პრესაში მოთავსებული ცნობები ხშირად არ შეეფერება სინამდვილეს.

✦ **შეშის დამზადება.** ქალაქთა კავშირმა ენერგიული ზომები მიიღო ხეთის აგარაკში შეშის დასამზადებლად. დეკემბრის პირველ ნახევარში დაამზადეს 1200 კუბ. საჟ. შეშა. ამ ჟამად ყოველ დღე მზადდება 150 კუბ. საჟნამდი. ქალაქთა კავშირი შეშის გადმოტანის საქმეს აწყობს. სასწრაფოდ ხდება ვიწლიანდაგების კეთება.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შეადგინა ოქტომბრის განმავლობაში შემოსავლის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ ოქტომბრის განმავლობაში სამმართველოში შემოსულა საფოსტო ოპერაციიდან 4243497 მან. ტელეგრაფიდან—5.547.412 მან. ტელეფონიდან 1311856 მან.

✦ **რკინის გზელთა ყრილობა.** რკინის გზელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: რკინის გზელთა ყრილობა დეკ. 25 დან 28 სთვის გადასდოს.

ცენტრალური გამგეობა ადგენს თავის მოქმედების ანგარიშებსა და იმუშავებს რკ. გზელთა კოოპერატივების წესდებას.

რკ. გზ. კავშირის სასურსათო კომიტეტმა შესწირა ფრონტს 500.000 მ. ეს ფული გადაეცემა ფრონტის დამხმარე კომიტეტს.

✦ **ნავთი.** მუშათა მაგიდა იუწყება: იმ ჯგუფების წარმომადგენელნი, რომელთაც დარჩენილი ნავთი არ მიუღიათ, კარგავენ უკვე მიღების უფლებას. დარჩენილი ნავთი მომავალ ნორმაში გადაირიცხება.

✦ **საქართველოში მყოფ ანგლიის წარმომადგენლის ცნობა.** საქართველოში მყოფ ოსმალეთის ნაციონალური ყრილობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იუწყება: აღმოსავლეთ ფრონტის სარდლობის მიერ მიღებულ ცნობის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სომხებს უფლება აქვთ წინასწარ კონტროლის შემდეგ სომეხ კურიერების შემწეობით გაუგზავნონ ყირიმში მყოფ სომხებს წერილები, ფული და სხვა და სხვა ნივთები. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყოველგვარი დახმარებას გაუწევს აღნიშნულ კურიერებს.

„ჩემი“. ჭიათურის ქალ. თვითმართველობამ მიმართა „ჩემს“-ს წინადადებით, რომ მან გადასდოს 25.000 გირ. სტერლინგი ჭიათურის ელექტრიულ სადგურის საჭიროებისათვის უცხოეთში დინამო-მანქანის შესაძენათ.

✦ **სასურსათო განყოფილების განცხადება.** სასურსათო განყოფილება აცხადებს: ცნობა მოვიდა, რომ ზოგიერთი პირები ცდილობენ რეკვიზიცია უყონ ღორის ხორცს, რომელიც შესამოწმებლად არის გამოტანილი. ამ გვარი ცდა არისუკ ანონო და ბაზარზე შეუმოწმებელ ხორცის გამოტანას იწვევს. ამის გამო სასურსათო განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მიკროსკოპიულ სადგურებზე არავითარი რეკვიზიცია არ სწარმოებს და არც შეიძლება სწარმოებდეს. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მოინდომებს ღორის ხორცის რეკვიზიციას, დაუყონებლივ უნდა ეუწყოს სასურსათო განყოფილებას, საჭიროების და მიხედვით.

✦ **ავჭალის აუდიტორიის** იუბილე გადადებულია. იუბილეის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ეცდომის გასწორება

გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებულ დამფუძნებელ კრების 21 დეკემბრის სხდომის ანგარიშის მინაწერში შეცდომით იყო: 1) „მაუზერების მეთაური“, უნდა ყოფილიყო: „მაუზერისტების მეთაური; 2) „მაუზერები“, რომელიც ასე და სხვა. უნდა ყოფილიყო: „მაუზერისტები“, რომლებსაც ასე და სხვა.

მოწოდება

მოქალაქენო! ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ქრისტეშობისთვის 25 და 26 მართავს „შობის ხეს“ საქართველოს ფრონტის სასარგებლოთ.

ყველამ კარგათ უწყის ჩვენი ფრონტების მნიშვნელობა. მისგან დამოკიდებული სამშობლოს კეთილდღეობა და თავისუფლების ბედ-ილბალი. ჩვენი ჯარი და გვარდია მედგრად სდგას საქართველოს საზღვრებზე და გულ მკერდით იცავს მას. ისინი გუშაგობენ ცივ სანგრებში ჩვენ სამშობლოსა და თავისუფლებას და მათი დავიწყება ალმაშფოთებელ უსამართლობა იქნებოდა.

ზოგიწოდებთ, მოქალაქენო გაიღეთ თქვენი წვლილი სანგრებში მყოფ მეომრებისათვის და მიიტანეთ შემოწირულებანი „შობის ხესთან“, რომელიც აღმართული იქნება რკინთველის პროსპექტზე დამფუძნებელი კრების წინ, შემოწირულებანი მიიღება: თეთრეულობით, წინდებით, თუთუნით, ხელთათმანებით, პაპიროსებით, ასანთით, საპონით და სხვა. იცოდეთ მოქალაქენო, რომ ყოველგვარი შემოწირულება როგორიც მცირე არ უნდა იყოს ის, გულწრფელი მადლობით მიიღება და გადაეცემა სამშობლოს დამცველთ ფრონტებზე.

გაიღეთ თქვენი წვლილი, დაეხმარეთ ტრონტს, მის სიმაგრეზეა დამოკიდებული საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობა და ქართველი ერის ბედ ილბალი.

მოიხადეთ თქვენი ვალი იმათ წინაშე, რომელნიც საკუთარ სისხლს არ ზოგავენ თქვენ საკეთილდღეოთ.

ქალაქის მოურავი **ჩხეიძეშვილი.**

გურიის ერობაში.

საერობო მეშვიდე არა ჩვეულებრივი ყრილობა.

სარევიზიო კომისიის მოხსენების გარშემო იმართება მცირე კამათი, რის შემდეგ განმარტებისათვის სიტყვა ეძლევა გამგეობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჭანტურიშვილს.

ის ამბობს: გამგეობა სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს სარევიზიო კომისიის მუშაობის გამო, გამგეობა მოწაფე იყო იმ დაუზარებელი შრომისა, რომელსაც კომისია ეწეოდა ზაფხულის სიცხეში მთელი თვეების განმავლობაში და შემდეგაც; მართალია, გამგეობას არ ეხება ყრილობის სარევიზიო კომისიის მოხსენების დაფასება, მაგრამ მას არ შეუძლია ცოტა რამ არ უპასუხოს იმ შენიშვნებზე, რასაც სარევიზიო კომისიის დასკვნები გულისხმობს გამგეობის მიმართ. ერობა, როგორც კომისიაც აღნიშნავს, დიდი საქმეა და იმ პირობებში, რომლებშიდაც ჩვენ გვიხდება მუშაობა, უდეფექტოთ საქმის გაძღოლა შეუძლებელია. საერობო მუშაობაში ჩვენ ეხლა ვიწვრთნებით, ესევე ითქმის თანამშრომლებზედაც; უფლება-მოვალეობანი დიდი გვაქვს, მაგრამ საარსებო წყარო არ გვაგვაჩნია; ეს ჩვენს მუშაობას აძნელებს და დეფექტებსაც ნიადაგს უმზადებს.

კომისია პირადათ ამბობს ინვენტარის წიგნის უქონლობაზე.

მართალია, ინვენტარის წიგნი არ გვქონდა და ეს იყო ერობის დიდი დეფექტი, მაგრამ ეს ეხლა უკვე გამოსწორებულია. გამგეობის მიერ სპეციალურად დანიშნულმა კომისიამ ორ თვეზე მეტი იმუშავა ამ საქმეზე და ოზურგეთში კიდევაც მოასრულა ინვენტარის შედგენა. დაგვრჩა რაიონები, სადაც უმთავრეს შემთხვევაში ინვენტარი აღწერილია.

პირველ შეხედვით ეს თითქოს უბრალო საქმეა, მაგრამ ჩვენი შტატის მიხედვით ეს არც ისე ადვილი დარჩა. მე მახსოვს პირველი ჩემი განკარგულება ოზურგეთში ჩამოსვლისას ინვენტარის წიგნის შედგენა იყო, რომლისთვისაც საჭირო იყო დაწვრილებითი აღწერა მთელი ქონებისა. ბევრს დავავალე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შესძლო ამ აღწერილობის მოხდენა. ამ ჟამად კი ვიმეორებ, ეს საქმე შესრულებულია.

ქარავანის შესახებ, ესეც მართალია. ესეც დეფექტია, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, შემდეგი,—ქარავანი ისეთი დაწესებულებაა, ურომლისოდაც ერობის არსებობა პირდაპირ წარმოუდგენელია. თუ ჩვენ არ გვეყოლა ცხენები, მუშაობასაც რა თქმა უნდა ვერ შევსძლებთ და რაც უნდა დაგვიჯდეს ეს ქარავანი, მაინც უნდა შევინახოთ იგი. ეს რა თქმა უნდა სარევიზიო კომისიამაც კარგად იცის და ამას არც გვისაყვედურებს იგი. ის მხოლოდ ამბობს, რომ „საქმე არ არის დაყენებული ისე, რომ გამოვარკვიოთ მისი შედეგი ამართლებს თუ არა თავის არსებობასო“. ეს არ არის მართალი. შედეგი უსათუოდ ამართლებს ჩვენი ქარავანის არსებობას, ვინაიდან ის დადებელს უწყობს ჩვენს მოღვაწეობას მაზრაში მსვლელობის მხრივ, ურომლისოდაც სრულიად შეუძლებელი გახდებოდა ჩვენი მუშაობა.

იქვს გარეშეა, ჩვენ უნდა გვქონდეს სრული ანგარიში არა მარტო იმისა, თუ რა გვიჯდება ქარავანი, არამედ იმისაც, თუ რა დაგვიჯდებოდა ჩვენი მოგზაურობა, რომ ჩვენ ქარავანი არ გვქონოდა.

ეს დეფექტიც უკვე გამოსწორებულია და შემოღებულია სათანადო წესი ავტომობილით, ეტლით და ცხენით სარგებლობისა ორდერებით.

სარევიზიო კომისია, ვიმედოვნებთ, დაგვიდასტურებს, რომ ჩვენი ცხენები ჩინებულათაა შენახული, არ არიან გალახული.

მესამე შენიშვნის—სავაჭრო-სამრეწველო დარგებში თითქოს არ იყოს საქმე ოიგზე დაყენებული—უნდა მოგახსენოთ, რომ ეს შეიძლებოდა თქმულიყო ამ დარგების დაარსებისას, მაგრამ ეხლა, ჩვენის აზრით, ასეთ რამეს არა აქვს მასში ადგილი. კომისიამ ამ დარგებში რევიზია მოახდინა ზაფხულში, მას შემდეგ საქმე დიდათ გაუმჯობესებულია; ყველა დაწესებულებაში არის საქონლისა და კასის წიგნები, საქონლის მიმღებ მომტანი სხვა და სხვა პირებია, ხდება მიღებულ საქონლის შემოწმება, რაზედაც სდგება სათანადო ოქმი, ნავაჭრი თანხების ბრუნვაში დაცულია სათანადო წესები და სხვა. გაუგებრობაზეა აგებული აგრეთვე კომისიის შენიშვნა, თითქოს ქონების შეძენაში „დაუცველი იყოს იურიდიული მხარე“ აქ, როგორც ვიცით, კომისიას მხედველობაში ჰყავს ერთი ცხენი, რომელიც, მართალია, უნასყიდობოთაა შეძენილი, მაგრამ ცხენის შესყიდვა შეიძლება უპირობოთ; ეს არის მოძრავი ქონება, რომლისთვისაც არსებობს უფრო შელავათიანი წესები შეძენისა. იქნებ მე ვსცდებოდე, მაგრამ ვფიქრობ, დიდ დაწესებულებას არ სჭირია ყოველ უბრალო საქმეზე პირობების წერა, ასეთ შემთხვევებში საკმაოა ფულის მიღების ორდერზე ხელის მოწერა გამყიდველისაგან.

უგეგმობა, ეს დიდი დანაშაულია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ თითქოს უგეგმოთ ვმუშაობდეთ. ფურნე და საფართლო დუქანი ეს შედარებით წვრილმანი საქმეა. ჩვენ გვქონდა 1,000 ფუთი ხორბალი, ბაზარზე საშინელი სიძვირე იყო, მოსამსახურენი დიდ გაჭირვებას განიცდიდენ; ჩვენ მოვაწყვეთ მაშინ ფურნე და გამოვაცხვეთ პური, რომელსაც ურიგებდით, როგორც ჩვენს, ისე სხვა დაწესებულების მოსამსახურეთაც გირვანქას 10 მან., როცა ბაზარზე გაცილებით უარესი ღირსების პური 25—30 მან. ფასობდა. მაგრამ შემდეგ როცა ჩვენ ხორბალი დაგველია, შეუძლებელი შეიქმნა ბაზრისთვის კონკურენციის გაწევა და ჩვენც შევაჩერეთ ეს საქმე და ფურნე გამოვიყენეთ ცენტრალურ საერობო საავადმყოფოსა და გვაოდიის საჭიროებისათვის. რაც შეეხება საფართლო დუქანს, ჩვენ იქ კარგა ხანს გვქონდა ვაჭრობა და დიდძალი საქონელიც გავყიდეთ შეღავათიან ფასებში, რითაც ხალხი დიდი კმაყოფილი იყო, მაგრამ მას შემდეგ, როცა უცბათ ფულის კურსი ძლიერ დაეცა და მანუფაქტურა საგრძნობლად გაძვირდა, ჩვენ საჭირო თანხის უქონლობის გამო ვეღარ შევსძელით ამ წარმოების განგრძობა. საწყობში კი წიგნის სავაჭროსთვის გამოვიყენეთ.

ბუჰგალტერია მართლაც ჩამორჩენილია, მაგრამ მიღებულია ზომები ამ დეფექტის, რომელიც ვფიქრობ დღეს საყოველთაო მოვლენაა, გამოსასწორებლად.

ავანსების დროზე არ გასწორებასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ კარგი ხანია, რაც ეს უკვე გამოსწორდა; არავის არ ეძლევა ახალი ავანსი, თუ ძველი გასწორებული არა აქვს. რაც შეეხება სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების ავანსებს, ამაზე უკვე მოგახსენათ გამგეობის წევრმა ბ. გ. ბერეულანმა და ჭოჭუამ. პირუტყვთა ჯიშის მოშენების და შინამრეწველობის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ალბათ აქ კომისიას მხედველობაში აქვს მიღებული 1919 წ., როცა მართლაც ცოტა გაკეთდა ამ დარგში, მაგრამ ამ წელზე ეს არ ითქმება. ჩვენ საუცხოოთ მოვაწყვეთ სადურგლო-სახელოსნო, რაც შინამრეწველობის დარგს ეკუთვნის. შინამრეწველობაა აგრეთვე აბრეშუმის ამოხვევაც, რაც ჩვენ მოვაწყვეთ. ამოვახვიეთ 30 ფუთი აბრეშუმის ძაფი, რომელიც ვარგა საზღვარ გარეთ გასატანათ; გარდა პარიკისა, რაც ჩვენ მთავრობიდან მივიღეთ, ჩვენ დავხარჯეთ ამ საქმეზე მილიონ მანეთზე მეტი.

რაც შეეხება თანამშრომლებს,—ამბობს უკანასკნელათ ბ. ჭანტურიშვილი—სიამოვნებით უნდა მოვახსენოთ ყრილობას, რომ ჩვენ გვყავს იდეიური და მომზადებული თანამშრომლები სასკოლო განყოფილებაში, საოფთიაქო საწყობში, ერობის სამდივნოში, საადგილ მამულო განყოფილებაში, და სხვაგანაც.

ბ. ჭანტურიშვილის განმარტების შემდეგ სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ კრება ადგენს: «მოისმინა რა სარევიზიო კომისიის ერობის გამგეობის მოქმედება ანგარიშების შესახებ და გამგეობის თავმჯდომარის განმარტება ამავე საგანზე, ყრილობა იღებს მათ ცნობად და გადადის შემდეგ საკითხზე“.

ხუსეინ.

(შემდეგი იქნება)

გზათა დეპარტამენტში

დეკემბრის 12 და 15 გზათა დეპარტამენტის დარბაზში შესდგა საგანგებო თათბირი, ზოგიერთ სარკინისგზო საკითხების განსახილველად, შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით და გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინ. პ. ჭიჭინაძის მონაწილეობით. თათბირს გარდა გზათა დეპარტამენტის უმაღლეს აგენტებისა დაესწრენ წარმომადგენელი ქალაქთა და ერობათა კავშირისა. ბანკებისა ვაჭრობა-მრეწველობის პალატისა, შავი ქვის მრეწველთა საბჭოსი და საზოგადოება „ჩემი“სი, აგრეთვე სახელმწიფო კონტროლისა და ფინანსთა სამინისტროსი. თათბირმა დეკემბრის 12 მოისმინა მოხსენება სახაზინო რკინის გზების ექსპლოატაციის უფროსისა მატარებელთა მოძრაობის განრიგებისა და ტვირთის გადაზიდვის შესახებ. რაც შეთანხმებულ იქმნა უკანასკნელ დროს შექმნილ მდგომარეობის მოთხოვნილებებთან. (მატარებლების მოძრაობის განრიგება, შემუშავებული თანახმად თათბირის დადგენილებისა, ძალაში შედის 20 ამა დეკემბრიდან. ამავე თათბირზე მოსმენილ იქმნა მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა სარკინისგზო სატარიფო კომიტეტის დაარსების შესახებ. თათბირმა ერთხმად აღიარა სატარიფო კომიტეტის დაარსების აუცილებლობა, რომელიც სარკინისგზო ტარიფების საკითხს დაამუშავებს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნულ დადგენილების გამო გზათა დეპარტამენტი უკვე შევიდა სათანადო მოხსენებით მთავრობაში. დეკემბრის 15, თათბირზე განხილულ იქმნა სახაზინო რკინის გზების საკომერციო ნაწილის უფროსის მაჭავარიანის და კახეთის რკინის გზის მმართველის ინ. გვერდწითელის მოხსენებები არსებულ სარკინისგზო ტარიფების გადასინჯვის შესახებ. თათბირმა მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სატარიფო კომიტეტის ორგანიზაცია შედარებით დიდ დროს დაიჭერს, გზათა დეპარტამენტის დირექტორის ინ. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა გადასინჯვა და დეტალური დამუშავება სარკინისგზო ტარიფთან დაკავშირებულ საკითხებისა. კომისიაში გარდა სახაზინო და კახეთის რკინის გზების სათანადო აგენტებისა, შევიდნენ დამფუძნებელი კრების საგზაო კომისიის წევრი პ. წულაია, საზოგადოება „ჩემი“ს თავმჯდომარე გ. ეურული, ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტის წევრი ისტურუა, ცენტრობანკის თავმჯდომარე პ. გოთუა და ფინანსთა სამინისტროს ვიცე-დირექტორი ბ. კოვალენსკი.

მილიციაში

18 ამა დეკემბერს დამფუძნებელ კრების წევრს მ. მ. ხოჭოლავს მოჰპარეს ნივთები ღირებული 200.000 მან. სისხლის სამართლის მილიციის გამოძიებამ შემდეგ შეპყრობილ იქმნენ შალვა იორამის ძე კალმახელიძე და ანდრონიკა ოვაკიმის ძე ბასჯიანცი. აღმოჩენილი ნივთები ჩაბარდა ბ. ხოჭოლავს. მიღებულია ზომები დანარჩენი ნივთების აღმოსაჩენად.

— სისხ. სამ. მილიც. უფროსმა პ. ზ. ფაჩულიამ დააპატიმრა ყ. ჩ. ღი ზაქარია გრიგორის ძე მირზანაშვილი, რომელიც ბრალდება დიდ-ძალი ბიროტ მომქმედებებში მონაწილეობის მიღება და რომელიც იყო გაქცეული ტფილისის № 1 საპყრობილიდან. მირზანაშვილს დაპატიმრების დროს თან ჰქონდა სამ ხაზიანი შაშხანა და დიდ ძალი ტყვიები.

ნამდვილს ზედ აწერია: „ამტკიცებ“ 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი.

წესდება

ჭიათურის ბანკისა.

III მმართველობა.

§ 49.

საბჭოს მოვალეობას შეადგენს:

ა) საერთო მეთვალყურეობა ბანკის საქმეთა წარმოებისადმი, აგრეთვე შემოწმება კასისა და ბანკის ყველა საბუთებისა ყოველ ჟამს, როცა ამას საბჭო მოითხოვს.

ბ) საბოლოოდ გარდაწყვეტა იმ საკითხთა, რომელთა შესახებ გამგეობის წევრთა აზრი გაიყო და არც ერთ აზრს არ დაურჩა ხმის უმეტესობა (§ 37).

გ) მოწოდება გამგეობის მიერ წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვისა აქციონერთა საზოგადო კრებისთვის წარსადგენად და დასამტკიცებლად და აგრეთვე ნებადართვა ხარჯ-აღრიცხვიდან გარდახვევისა, თუ ვინიცობაა, საჭიროდ იქმნა ეს დანახული.

დ) შემოწმება წლიური ანგარიშისა და წარდგენა მისი საზოგადო კრებისათვის საბოლოოდ დასამტკიცებლად თავისი აზრის ზედართვით.

ე) განხილვა ყველა იმ საკითხისა, რომელიც ამ წესდების ძალით ან იმისთვის, რომ გამგეობა სცნობს ამას საჭიროდ, წარედგინება საბჭოს გადასაწყვეტად.

ვ) წინასწარი განხილვა ყველა საკითხისა, რომელიც უნდა წარედგინოს საზოგადო კრებას გადასაწყვეტად.

ზ) დროებით ჩაყენება თავისი წევრებისა გამგეობის წევრების ადგილას იმ შემთხვევაში, რომელიც § 36 მოხსენებულია.

თ) არჩევა და წარდგენა საზოგადო კრებისათვის დასამტკიცებლად გამგეობის და საბჭოს წევრებისა. თუ წარდგენილი არ იქნება დამტკიცებული, მის მაგიერ საზოგადო კრება თითონ ირჩევს სხვას ხმის უმეტესობით.

და ი) დამტკიცება ყოველ გვარ ინსტრუქციებისა გამგეობის და ბანკის დანარჩენ ორგანიზაციებისათვის.

§ 50.

საბჭოს სასყიდელი შესდგება ტანტიემიდან, რომელიც თანახმად § 80 ამა წესდებისა, განისაზღვრება ყოველწლობით საზოგადო კრების მიერ შემდეგ ბალანსის დამტკიცებისა, და განსაზღვრულ ჯილდოსაგან, რომელიც მიეცემა სხდომაზედ დასწრებისათვის.

§ 51.

საბჭოს და გამგეობის შეერთებულ კრებულს ნება აქვს დააწესოს ბანკში განაღდების კომიტეტი და ამ კომიტეტში აირჩიოს ისეთნი, რომელთაც იცნობს იგი კრებული. განაღდების კომიტეტს ევალება, ხოლო თუ კომიტეტი არ არის, გამგეობას ევალება (მუხ. თ. § 39) გადაწყვეტის რაოდენობა კრედიტისა ბანკის კლიენტებისათვის, რაოდენობა სესხისა, რომელის ბანკმა უნდა გასცეს საქონლისა, ჰაებისა, ობლიგაციებისა და სარგებლიან ქაღალდების გირაოდ და შესაწყნარებელია თუ არა გასანაღდებლად წარმოდგენილი ვექსილები.

§ 52.

გამგეობისა და საბჭოს წევრები და აგრეთვე სხვა ყველა ბანკის მოხელე მოვალენი არიან დაიცვან საიდუმლოება ყველაფერში, რაც შეეხება ბანკისადმი რწმუნებულ კერძო საქმეებსა და ანგარიშებს.

§ 53.

საბჭოს და გამგეობის წევრები ექვემდებარებიან პასუხისგებას როგორც პირადათ, ისე ქონებით ყოველი იმ ზარალისათვის, რომელიც ბანკს მოუვა წესდებისა და საზოგადო კრების დადგენილებათა დარღვევით.

§ 54.

ბანკს აქვს ბეჭედი ზედ-წარწერით: „ჭიათურის ბანკი“.

IV. აქციონერთა საზოგადო კრება.

§ 55.

ყველას, ვისაც კი შეძენილი აქვს ბანკის აქცია, ნება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას, მაგრამ ეუფლება ხმისა აქვს მხოლოდ იმ აქციონერს, რომელსაც ეკუთვნის არა ნაკლებ ხუთი აქციისა. თითოეული ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას, მაგრამ საზოგადო კრებაზე არც ერთ მათგანს არ შეუძლია იმდენი ხმა იქონიოს, რომ რაოდენობით 1/10 სჭარბობდეს დამსწრე ხმებისას.

§ 56.

მთავრობისა, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი, საზოგადოება და ამხანაგობა საერთო კრებაზე სარგებლობენ ხმის უფლებით თავიანთ კანონიერ წარმომადგენლების სახითა.

ბანკის მოხელეთ ნება არ აქვთ საზოგადო კრებაზედ მონაწილეობა მიიღონ ვექილობითა.

§ 57.

სახელობითი აქციების პატრონთ ხმის უფლება აქვთ საზოგადო კრებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის დავთრებში ჩაწერილი არიან შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მათთვის საჭირო არ არის წარდგენა თავიანთი სახელობითი აქციებისა.

უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმას პატრონს, თუ იგი აქციები წარდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და არც უკან წაუღია პატრონებს კრების გათავებამდე. ხამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარდგენილ იქმნას მოწმობანი (ხელწერილი) იმისი, რომ აქციები მიუღია შესანახად ან გირაოდ სახელმწიფო ან კერძო საკრედიტო დაწესებულებას.

§ 58.

ოცზე ნაკლებ აქციების პატრონებს შეუძლიათ, საერთო ვექილობით შეაერთონ თავიანთი აქციები ერთი ან მეტი ხმის უფლების მისაღებად იმ საზღვრამდე, რომელიც მოხსენებულია § 33-ში.

§ 59.

თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე კაცს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს.

შენიშვნა. ვექილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწეროს წერილის სახით, რომელიც უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

§ 60.

გამგეობის მიერ დამზადებული სია იმ აქციონერებისა, რომელთაც ხმა აქვთ საზოგადო კრებაზე, უნდა ოთხი დღით ადრე გამოიკიდოს ბანკში. ვიდრე კრება დაიწყებოდეს. სიაში აღნიშნული უნდა იყოს ნომრები წარმოდგენილი აქციებისა, პირი სიისა მიეცემა ყველა აქციონერს მოთხოვნის თანავე.

§ 61.

საზოგადო კრების გახსნამდე სარევიზიო კომისია ამოწმებს გამგეობის მიერ შედგენილ აქციონერთა სიას (§ 60), ამასთანავე თუ ვინიცობაა კრებაზე მისულმა აქციონერმა თანხით არა ნაკლებ 1/20 ძირითადი თანხისა, მოითხოვს სიის შემოწმება, ეს შემოწმება უნდა იკისრონ აქციონერთა მიერ თავიანთ შორის ამისთვის აირჩეულთ, რომელთა რიცხვი სამ კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს, მათ შორის ერთი მაინც უნდა იყოს ამორჩეული აქციონერთა იმ ჯგუფიდან, რომელმაც სიის შემოწმება მოითხოვა.

§ 62.

საზოგადო კრება ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივია. ჩვეულებრივი ინიშნება ყოველწლივ არა უგვიანეს აპრილისა, ხოლო არაჩვეულებრივი ინიშნება გამგეობის მიერ, როცა საჭიროება იქნება დასახული ანუ საბჭოს მოთხოვნისთანავე საგანგებო საქმეთა გასარჩევად, რომელნიც არ ითმენენ დაყოვნებას.

ბანცხადებანი

შენიშვნა. აქციონერთა ჯგუფს, რომელსაც შედგენილი თანხა არა ნაკლებია 1/20 ძირითადი თანხისა, უფლება აქვს მოსთხოვოს გამგეობას, მოუწოდოს საზოგადო კრებას, საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რა დარა საგანი უნდა დაექვემდებაროს კრების მსჯელობას. ეგ მოთხოვნა საზოგადო კრების მოწოდებისა უნდა აღსრულებულ იქმნას ერთი თვის განმავლობაში დღიდან ასეთი მოთხოვნის განცხადებისა.

დაიკარგა პასპორტი ნიკიფორ სემიონის ძე ჩუმენკოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4344 3—2

დაიკარგა პასპორტი მიხეილ მიხეილის ძე ჟორნოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმნებულად ჩაითვალოს. 4360 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან მიხეილ მინასის ძე ტომასიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4348 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული (დუშეთის მაზრა) სოფ. ლეხურის თემიდან არტემ შამილის ძე ხუციშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4349 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული პარიზში 1912 წ. წლიური ბილეთი, მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1920 წ. და ტფ. შემნახველ კასის წიგნაკი ივონა ლაზარეს ასული კოზნავის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4333 3—3

დაიკარგა პასპორტი, კავშირის წიგნაკი და საჩაიეს პატენტი აბდულა ხალილ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4273 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. ქალ. მილიციის სამმართველოდან, შალვა ივანეს ძე ხატიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4354 3—2

დაიკარგა მოწმობა № 2063 კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მეგლიცკის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4356 3—2

დაიკარგა პასპორტი № 236 ოლგა კონსტანტინეს ასული შერვაშიძის სახელზე, მიღებული სოხუმის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4323 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. ტფილისში სოხეთის კონსულისაგან ზაქარია სამსონის ძე დულგაროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4313 3—3

დაიკარგა უვადო ბილეთი მიღებული ფოთის პოლიციის სამმართველოდან 2, ორი ვექსილი თითო ასი ათას მანეთიანი სოხუმის კოოპერატივის „ზარია“-ს გამგეობის ხელმოწერილი, 3, სამი რკინის გზის დუბლიკატი, 4, ერთი ნოტარიული პირობა მოცემული სოხუმის კოოპერატივის „ზარია“-ს გამგეობის მიერ. 5, მეორე ნატარიული პირობა სოხუმის რაიონულ კოოპერატივს კავშირის გამგეობის მიერ მიცემული. 6. სოხუმის მუშათა მაგიდის რწმუნებულობა საქონლის მიღების შესახებ, და სხვა საბუთები—სევასტი მიზარბეგისძე რამიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4322 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3956 ელისაბედი ოგანის ასული ნალბანდიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4387 3—1

დაიკარგა პასპორტი № 966/2691 ფრანც იოსების ძე ტრაპიზორის სახელზე, მიღებული პოლონეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4388 3—1

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო მოწმობა, მიღებული ახალციხის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან შაინ ბარსეგის ძე ანისონიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4390 3—1

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო ბეგრის ნუსხა, მიღებული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ილარიონ გიორგის ძე ინგორაყვას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4391 3—1

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ლაშე-ოვერკის საზოგ. კომისრისაგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 800 ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან პროკოფი ივანეს ძე კალანდაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4392 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ლ. გ. კანოს სახელზე, მიღებული ქ. ხარკოვში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4393 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2981 მოთია კალთაზოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეისტერისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4404 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ნიკოლოზ კოსტანტინეს ძე ღლონტის სახელზე, მიღებული ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4398 3—1

რწმუნების წერილი მიცემული ზინაიდა ბარისის ასული ივანოვის მიერ მიხეილ გიორგის ძე ბერიტაშვილისადმი განცხადებული ტფ. ნოტარ. უსთან მაჭავარიანთან 1920 წ. რეესტრით № 6824-გაუქმებულია. 4397 3—1

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი № 186 დავით ხაჩატურის ძე დავითიანცის სახელზე, მიღებული ზაქათალაში 1911 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4399 3—1

დაიკარგა საქართველოს საზღვრებში ცხოვრების მოწმობა № 435, მიღებული განსაკუთრებული რაზმისაგან 1920 წ. ივანე ანდრიას ძე ვორონცოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4403 3—1

რწმუნება გაცემული აღექსანდრე სოლომონის ძე ხეიხეულიძის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მაჭავარიანის მიერ რეესტრით № 13186 გაუქმებულია. 4409 3—1

დაიკარგა პასპორტი № 490/718, მიღებული ტფილისში პოლონეთის წარმომადგენლისაგან 1919 წ. 17 მარტს. ფრანც ტომაშის ძე ციმერმანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4395 3—1

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი მიღებული ტდ. გუბერნატორის კანცელარიიდან ნინო სერგოს ასულის პირუმოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4396 3—1

დამფუძნებელნი

კომიტეტის—ბაკურის და ჭურჭლეულების მექანიკური წარმოების აქციონერული საზოგადოების

ანდრეოლეტი და კომპ.-ს

იწვევენ ბბ. აქციონერებს

პირველ საზოგადო კრებაზე,

რომელიც დანიშნულია მ./წ. დეკემბრის 28-თვის საღამოს 6 საათზე (ელისაბედის ქუჩა № 148, ბინა გ. ლ. ,რამენდიკის).

გასარკვეველი საგნები:

1. საზოგადოების დაარსების გამო შეძენა წარმოებისა, რომელიც ეკუთვნის ამხანაგობა „ანდრეოლეტი და კომპ“-ს; 2. პირველი საოპერაციო წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა; 4. გამგეობისადმი სესხის აღების უფლების მინიჭება; 5. მიმდინარე საქმეები.

1044 1—1